



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №6
2017 წლის 31 იანვარი
მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე” მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 ოქტომბრის №202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვისა (№07/2/825. 18.01.2017წ) და საკრებულოს აპრატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ლომოური-გედევანიშვილის 2017 წლის 20 იანვრის №/03/252 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე” მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 ოქტომბრის №202 განკარგულებაში. კერძოდ, განკარგულების პირველი პუნქტის „1.26“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.26“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 50 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით - №72.08.27.526. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 505 (ხუთას ხუთი) ლარით.

შემდეგი პირობით: მყიდველი ვალდებულია, გაითვალისწინოს და იხელმძღვანელოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლის მოთხოვნებით, (კერძოდ, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის დადგენილი 20 - მეტრიანი დაცვითი ზონა).

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი